

საბრძოლველ



საბრძოლველ გაზეთი ხუთშაბათი 8 ივნისი 2006 №129 (2751)

ფასი 50 თეთრი

სპაუ

საბრძოლველის ტრადიციული, მათოთხმეტა გამოკრითხვის შედეგები

ორი სამეული, ორი გამარჯვებული

საქართველოს საუხათესო ფეხბურთელი



ლევან კობიჯვილი



უოთა არველაძე



კახა კალაძე

ვინ?

საქართველოს ჩემპიონატის საუხათესო ფეხბურთელი



კობა ეკვილაძე




ოთარ მარცვალაძე



ზურაბ იოსანიძე

საბრძოლველ

ოდონკორი ეზააკია, ჰანკე იკბინება ორმაბი ბეკინაშვირი კლინსმანის ზურბზე



მან მსოფლიოს სამ ჩემპიონატზე ითამაშა, მაგრამ პირველად, როგორც მწვრთნელი. მას აკრიტიკებენ, ზოგჯერ ზედმეტად, მაგრამ ოპონენტებს საოცარი სიმშვიდით იგერიებს, თითქოს წინასწარ იცის, რაც მოხდება... იურგენ კლინსმანი და მისი ნაკრები: მოლოდინი დიდი, პასუხისმგებლობა უდიდესი. ბევრს არ გავაგრძელებთ და კლინსმანთან ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც ბუნდესნაკრების თავკაცს „იკიერმა“ ჩამოართვა

ბდით, ოდონკორი ძალიან ნიჭიერია, რომელსაც აქვს ის, რაც ასე ძლიერ გვკვირდება: სისწრაფე, მოულოდნელობები, მას კარის ხაზამდე შეუძლია მივიდეს. თავისი ეშმაკობებით მწვავე მომენტებს ქმნის.

— იენს ნოვოტნისაგან რას ელით?

— მას ნაკრებში თამაშის უდიდესი გამოცდილება აქვს და ყოველთვის იცის, რა სჭირდება გუნდს. ჩვენ ხომ ჯერაც ჩამოყალიბების პრცესში ვართ.

— მაიკი ჰანკე?

— მაიკი მეტოქეებს ტკივილს აყენებს, იგი იკბინება.

— ამასობაში, კევინ კურანი მუნდიალშიდმა დარჩა...

— ამ ეტაპზე ოლივერ ნოივილი და ჰანკე კარგ ფორმაში არიან, რასაც კურანიზე ვერ ვიტყვი. მას წელს პრობლემები ჰქონდა.

— 1990 წელს მუნდიალი, როგორც მოთამაშემ ისე მოიგეთ. ის რეცეპტი ჯერ კიდევ გახსოვთ?

— ამის რეცეპტი უბრალოდ, არ არსებობს, თორემ იგი ბრაზილიას და არგენტინას ნამდვილად ექნებოდათ. აუცილებელია, თავი არ დაზოგო და ტურნირისთვის კარგად მოემზადო.

— ფეხბურთელები იმედს ხომ არ გავიცრუებენ?

— არანაირად, ჩვენ ხომ უდიდესი პლუსი ის გვაქვს, რომ ჩემპიონატი ჩვენს ქვეყანაშია. მთავარი ისაა, რომ გულშემატკივარს იმედი არ გაუცრუოთ. ადამიანმა შეიძლება უმძიმესი დღეები გაიაროს, მაგრამ მინც ყველაფერი უნდა გაიღოს.

— გერმანიას ტურნირის ნაკრებს უწოდებენ. ეს რას ნიშნავს?

— ჩვენ ხასიათში გვაქვს, გადაწყვეტ წუთებში კი არ დავიხნეთ, არამედ კიდევ უფრო აქტიურნი გავხდეთ რაც, დამერწმუნეთ, ბევრ ნაკრებს არ აქვს.

— რა შეიძლება აქამდე თქვენი, როგორც მწვრთნელის, უდიდეს მიღწევად ჩაითვალოს?

— ჩვენ გვყავს კარგი ნაკრები საუკეთესო ხასიათით და ტალანტით. გერმანულმა ფეხბურთმა უდიდესი ნახტომი გააკეთა, ეს ბიჭები ძალიან ძლიერები არიან და კიდევ ბევრჯერ გავაზარებენ.

— დღევანდელი გერმანიის ეროვნული გუნდი და ის ბუნდესნაკრები შეადარეთ, რომელშიც თქვენ თამაშობდით...

— სხვაობა დიდაა, დღეს ფეხბურთელთა სულ სხვა თაობასთან გვაქვს საქმე. ბოლო 16 წლის მანძილზე ფეხბურთი მნიშვნელოვნად განვითარდა. მაშინ სულ სხვა ვითარება იყო.

— რა უნდა გააკეთონ გამოცდილმა ფეხბურთელებმა?

— მათ გამოუცდლებზე უნდა იზრუნონ. ჩემი ფეხბურთელებისგან მე მაქსიმუმს ველი, მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნება წარმატების შანსი.

— როცა ნაკრებს ჩაუდევთ სათავეში, გუნდის ფიზიკურ მომზადებაზე და თამაშის ტემპზე დაიჩვილებთ. დღეს, თვლით, რომ ეს პრობლემა აღმოფხვრილია?

— მეგონი, კი. ამასი ბუნდესლიგის თამაშებიც ძალიან დაგვეხმარა, წვრთნის ახალი მეთოდების ბოლომდე შეთვისების შემდეგ ჩვენ უკვე მწვერვალზე ვიქნებით.

— ასეთი დონის ტურნირზე რა უფრო უმთავრესია — ფიზიკური მომზადება თუ ფსიქოლოგიური?

— წარმატებისთვის ბევრი რამაა საჭირო. უფრო ფიზიკური მომზადება მთავარი, მაგრამ ფსიქოლოგიის გარეშეც არ შეიძლება. ადამიანმა მათი ურთიერთშერწყმა და საჭირო მომენტში წინა პლანზე წამოწევა უნდა შეძლოს.

— ანუ მიგჩნიათ, რომ ყველაფრისთვის მომზადება შესაძლებელია?

— არა, ყველაფრისთვის მომზადება შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთი რამის წინასწარ განჭვრეტა



ოდონკორი ეზააკია, ჰანკე იკბინება, ორმაბი ბეკინაშვირი კლინსმანის ზურბზე

კი ნამდვილად შეიძლება. თუნდაც ის ექსპერიმენტები, რომელიც აქამდე ჩავატარეთ, და რომლის გამოც ხშირად ირონიულად იციმბებოდნენ ხოლმე ჩვენი ოპონენტები. სადღეისოდ ეს დიმილი გაქრა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ეს მიმე ფსიქოლოგიური ტვირთი მოვიხსნათ, ამასვე ემსახურებოდა ნაკრებში ფსიქოლოგიის მოყვანაც.

— თქვენ ნაკრებში ის მოთამაშეები ვსაუბრობთ, რომელთა უმრავლესობა თითქმის ახალბედაა. რომელიმე მათგანს თუ გამოარჩევთ?

— მთავარია დამიჯერონ. მათ დავანახეს ის, თუ რატომაც უნდა ითამაშონ ნაკრებში. გერმანული ფეხბურთი მათთან ერთად დიდ წარმატებას მიაღწევს.

— თქვენ რამდენიმე მიმე გადაწყვეტილების მიღება მოგიწიათ, რომელი იყო მათგან უმძიმესი?

— სამწუხაროდ, ჟურნალისტებმა საზოგადოებაში ჩემზე საკმაოდ მცირე სურათი დახატეს. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია, როდესაც იძულებული ხარ, ვილაყარ უარი უთხრა და ჩემპიონატი გამოატოვებინო, მოთამაშე იქნება ეს, მწვრთნელი თუ შტაბის სხვა რომელიმე წევრი. უსაშინლესი იყო წუთები, როცა კანისთვის უნდა გვეთქვა, რომ ის მეორე მეკარე იქნება.

— მივიღათ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მერე გინანიათ?

— არა, რადგანაც, როცა გადაწყვეტილებას ვიღებდი, სრულიად დარწმუნებული ვიყავი მის სისწორეში და ახლაც ამ აზრზე ვარ.

— როგორც მწვრთნელი, რა დონეზე ხართ?

— ყველა და ყველაფერი მუდმივად ვითარდება. ცოტა არ იყოს ველავა, თუმცა ჩვენი შემადგენლობა ოპტიმალურია, ჩემი გუნდი ნამდვილად კარგ ფორმაშია.

— დიდი ხანია რაც თქვენი სასურველი თერთმეტეული შეაჩინეთ?

— მე მყავს ჩემი სასურველი გუნდი, მაგრამ იგი იმისდა მიხედვით იცვლება, თუ რა სიახლეები გვაქვს და რა გვესაჭიროება.

— როგორც ფეხბურთელს, შექმლით თქვენი ემოციები გამოვხატათ. გათიავისეთ მწვრთნელის უსუსურობა, მაშინ როცა მინდვრის კიდევ ღვას და არაფრის გაკეთება არ შეუძლია?

— ეს არც მთლად მასეა, მაგრამ უმძიმესია, როდესაც სკამიდან წამოდგები და მაშინვე იმ ზოლს ხედავ, რომელიც გზას გიჭრის. მაგრამ ეს არაფერს ცვლის, ადამიანმა ნერვები უნდა მოთოკო.

— რას ნიშნავს თქვენთვის იოახიმ ლიოვი?

— იგი ჩემი ნამდვილი პარტნიორი და მეგობარია მთელს სპორტულ სამყაროში და ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ის ძალიან სანდო ადამიანია, რომელიც საქმეს საუცხოოდ აკეთებს. მე მისგან უკვე ძალიან ბევრი ვისწავლე.

— ვინაა მუნდიალის ფავორიტი?

— რომელი ერთი ჩამოვთვალო: ბრაზილია, არგენტინა, იტალია, ინგლისი, პოლანდია... მეგონი, გერმანიაც.

— გუნდი-სიურპრიზი?

— ალბათ, უკრაინა.

— რას ეტყვით ნაკრებს გახსნის მატჩის წინ?

— ეს საიდუმლოა.



წვერიანი გოლი დააფუძავს



გერმანელები ვერ ისვენებენ და ისევ 1966 წელს უტრიალებენ. ადვილი მისახვედრია რაზეცა საუბარი, ხომ? ცხადია, საუბარი ისევ მსოფლიოს მაშინდელი ჩემპიონატის ფინალსა და გერმანელთა კარში ინგლისელი ჯეფ ჰერსტის საეჭვო გოლს ეხება.

და კიდევ, დოკუმენტური ფილმი რომელიც გერმანულ 3-Sat-ზე გავიდა მოვლენებს ისტორიულ კონტექსტში და უფრო ჯიბრიანად შეეხო. მასში 1966 წლის 4:2-ს ინგლისელების წყევლა უწოდეს და ხაზი გაუსვეს, რომ მას მერე ამ ქვეყნის ნაკრებს წამლად ერთი ტი-


ტულიც არ მოუგია, გერმანელებმა კი ბოლო 40 წლის მანძილზე ორჯერ მსოფლიოს და სამჯერ ევროპის ჩემპიონობა მოიგეს.

დოკუმენტური ფილმი, რომელზეც მოგახსენებთ, ეწოდება Wembley 1966, Das Original des Klassikers და მასში ნაჩვენებია ჯეფ ჰერსტის მეორე გოლის როგორც ფოტოსურათები ასევე კომპიუტერულად დამუშავებულ-გამოკვლეული ვარიანტები რაც საბოლოოდ ამტკიცებს, რომ ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთია. ფილმშივეა მაშინდელი ფეხბურთელების, მაგალითად უვე ზეელერის გამონათქვამები. ზეელერი ამ გოლს ფანტომს უწოდებს.

საინტერესოა, რომ ფილმის ტონი ისეთია თითქოს მატჩი 40 წლის წინ კი არა, გუშინ ჩატარებულიყოს და ბაქოელი თანამსახური, აწვარდაცვლილი ტოფი ბახრამოვიც მკაცრად მოხსენიებული. როგორც ჩანს, დრო ყველაფრის მკურნალია, გერმანელთა 1966 წლის ეპოქის გარდა.

აბაუნა კილია

ბალაკი ტირის



გერმანელთა კაპიტანმა მიხაელ ბალაკმა თავისი ნაკრები კიდევ ერთხელ გააკრიტიკა. მისი აზრით, დღევანდელი „ნაციონალმანშაფტი“ წინამორბედების აჩრდილია და ძალიან ბევრი გამოუცდელი მოთამაშითა დაკომპლექტებული.

„დღევანდელი ნაკრები ხშირად ცდება და სწორედ ამის გამო მეპარება ევრო ჩემპიონატებში. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, ნუ დაგვაიწყდება, რომ 1990 წლის მუნდიალზე და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე, რომლებიც ჩვენი ტრიუმფით დასრულდა, გაცილებით ძლიერი ნაკრებები გვყავდა. მათში მრავლად იყვნენ გამოცდილი ვარსკვლავები“ — აღნიშნა „ჩელსის“ ნახევარმცველმა.

1990 წლის გერმანიამ ლოთარ მათეუსი, რუდი ფიოლერი, ანდრეას ბრემე და თომას ჰესლერი ბრწყინავდნენ. 1996 წლისაში კი მათიას ზამერი და იურგენ კლინსმანი, რომელიც დღეს მთავარი მწვრთნელია. ბალაკი სწორედ ასეთი მოთამაშეებს მისტირის. ბევრს კი მისი კომენტარები არ მოსწონს, ნაკრების კაპიტანი ასეთი განწყობით არ უნდა იყოსო. თუმცა ჩელსელმა ოპტიმისტურად დაამთავრა.

მიხაელ ბალაკი: „მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გამართულმა ამხანაგურმა მატჩებმა და ვარჯიშებმა აჩვენა, რომ არასტაბილურები ვართ. აქცენტს შეტევაზე ვაკეთებთ და ზოგჯერ წინ ისე სწრაფად მივდივართ, რომ ბურთს ვკარგავთ და დაცვაშიც ვცდებით. თუმცა არის ჩვენს თამაშში ნათელი წერტილები, რომლებიც გვიტოვებენ იმედს, რომ მუნდიალის მოგებას შევძლებთ“.

შეგახსენებთ, რომ ბალაკი ამჟამად ტრავმირებულია და კოსტა რიკასთან ჩემპიონატის გახსნის მატჩში მისი თამაში სათუთა.

გიორგი აბაბაძე

დანტე გაპოიქასეს

პარაგვაის ნაკრების გამოცდილმა თავდამსხმელმა ხოსე სატურნიო კარდოსომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის თითქმის ყველანაირი შანსი დაკარგა. ნაკრების ექიმთა განცხადებით, ხოსეს მძიმე ტრავმა აქვს და უმჯობესია 3-4 კვირით ბურთს და მოედანს არ გაეკაროს.

კარდოსომ მარცხენა ფეხი 27 მაისს დანიასთან, კოპენჰაგენში ამხანაგური მატჩისას დაიშავა. „გუარანიმ“ ვიკინგებთან ფრედ ითამაშა 1:1.

მედიცის ცნობით, პარაგვაის მწვრთნელ ანიბალ რუისს უკვე გამოუმახებია იტალიური „ჯენოადან“ დანტე ლოპესი, ნაკრებში კარდოსოს ადგილის შესავსებად.

შეგახსენებთ, რომ „გუარანის“ გუნდს მოიერიშეთა ხაზზე პრობლემები აქვს, 1998 და 2002 წლების მუნდიალების მონაწილე კარდოსოს გარდა, „ბაიერნის“ ფორვარდი სანტა კრუზიც დაშავებული იყო და ახლახან მომჯობინდა.

ლადო ხოშირიძე



ხოსე კარდოსო



ალექსანდრე გომბარაევი

ნუ შეაფურთხებ ქარს!

კოსტა რიკის ნაკრების თავკაცი ალექსანდრე გომბარაევი კატეგორიულად არ ეთანხმება გერმანულ პრესას, რომელიც ამბობს, რომ ცენტრალური ამერიკის ამ ქვეყნის ნაკრებს მუნდიალის გახსნის შეხვედრაში გერმანელების წინააღმდეგ შანსი არაფრისა აქვს. გომბარაევი წარმოშობით ბრაზილიელია. ის 1990 წელს „ტიკოსის“ შემადგენლობაში ფეხბურთელის რანგში იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე, 2002 წელს კი უკვე მწვრთნელი გახლდათ და იცის მუნდიალზე რა და როგორ ხდება.

„ზედიზედ ორი ჩემპიონატია ფინალურ ეტაპზე გავდივართ, რაც ვფიქრობ იმას ნიშნავს, რომ გერმანული პრესა ჩვენზე საუბრისას ქარის საწინააღმდეგოდ იფურთხება. თუმცა, ჩვენ დიდად არ ვნერვიულობთ იმაზე თუ რა თქვენს ჩვენს შესახებ. მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობთ. აქ იმიტომ ვართ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე კარგად ვითამაშოთ“.

გახსნის თამაშის წინ მისი მონაწილეები ტრავმირებულებს ითვლიან. გერმანელებს მიხაელ ბალაკის ბედი აწუხებთ, თუმცა ნაკრებში ას კვებე მეთის მომგროვებლი ნახევარმცველი კოსტა რიკელი მაურისიო სოლისი ასე ამბობს:

„ჩვენ ბალაკის თამაში კარგად ვიცით და არა მხოლოდ ნაკრებში არამედ კლუბშიც. ევრო არ გვკარგება, რომ პარასკევს ის მოედანზე იქნება“.

კოსტა რიკელთაგან სამშაბათის ვარჯიშები გამოტოვეს მარჯვენა მცველმა ფილბერტო მარტინესმა, მეკარე ალვარო მესენმა და ცენტრალურმა მცველმა მაიკლ როდრიგესმა.

სპეციალური პროგრამით ვარჯიშობს კოსტა რიკელთა მთავარი ფორვარდი პაოლო ვანზოპეც, რომელსაც მთელი კარიერის მანძილზე სდევს მუნდიალის ტოკიოსის პრობლემა.

„ის მზად არის და თუ მწვრთნელი ათამაშებს, მოედანზე იქნება“ — განაცხადა ექიმმა ხერარდო არტავიამ.


აბაუნა კილია

პარაგვაისი უკარბანის ნისქვილმა შეაფინა

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელ კარლოს ალბერტო პარეირას თქმით „პენტაკამპიონთა“ მარადიულ მეტოქეს, არგენტინის ნაკრებს მუნდიალზე საკმაოდ მომგებიანი სიტუაცია ექნება. „რატომღაც, მსოფლიო ჩემპიონატის რვა სავარაუდო ფავორიტს შორის არგენტინას არაფერ ასახელებს. ეს კი პეკერმანის ნაკრების წისქვილზე ასხამს წყალს — მუნდიალზე ფსიქოლოგიური წინეზი მოხსნილი ექნებათ და თავისუფლად იბურთავენ“ — განაცხადა პარეირამ.

მსოფლიოს ჩემპიონთა მწვრთნელი პეტეონიელს გერმანია 2006-ს ერთი მთავარ ფავორიტებად მიიჩნევს. „ბრაზილია, არგენტინა, გერმანია, ინგლისი, პოლანდია, ჩეხეთი — ყველა ამ გუნდს მსოფლიო პირველობის მოგება შეუძლია. სისულელეა, როცა ამჟამინდელ არგენტინაზე, როგორც სუსტ ნაკრებზე, ისე საუბრობენ“ — ამბობს ბრაზილიელი.

პარეირას აზრით, მუნდიალის ფინალში ბრაზილია და არგენტინა ერთმანეთს ვერ შეხვდებიან. „ეფიქრობ, რომ ასეთი ფინალი არა



ხოსე პეკერმანი

წელს, არამედ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე გაიმართება...“

წლებანდელ მუნდიალზე ბრაზილიის ეროვნული გუნდი F ჯგუფში ავსტრალიასთან, იაპონიასთან და ხორვატიასთან იქნება, არგენტინა კი — C ჯგუფში პოლანდიასთან, კოტ დივუართან და სერბეთთან ერთად.

ლადო ხოშირიძე

გერმანია პასპორტით ჩეხიონია

ვისაც სტატისტიკისა სწამს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტად ახლავს შუქლია ამოშალოს ბრაზილია, საფრანგეთი, იტალია, ჩეხეთი, შვედეთი, პორტუგალია, სერბეთ-ჩერნიგორია, აშშ, ავსტრალია, ხორვატია და ტრინიდადისა და ტობაგოს ქრონული გუნდი. მიზეზი: ბოლო ათი მუნდიალიდან ერთშიც არ გაუმარჯვია გუნდს, რომლის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 28 წელს აღემატებოდა.

თუ მაინც და მაინც გინდათ 28 წელზე ხანდაზმული ჩემპიონის მოძებნა, 44 წლის წინანდელ ბრაზილიის ნაკრებს უნდა მიადგეთ — 1962 წელს ჩილეში სელესაო 30 წლისა და ერთი დღისა იყო.

მას მერე ჩემპიონთა ასაკი ასე მოდის: ინგლისი 27 წლის და 4 თვის, ბრაზილია 25 წლის და 2 თვის, გერმანია 27 წლის და 3 თვის, არგენტინა 26 წლის და 3 თვის, იტალია 27 წლის და 4 თვის, არგენტინა 26 წლის და 10 თვის, გერმანია 27 წლის და 9 თვის, ბრაზილია 27 წლის და 11 თვის, საფრანგეთი 27 წლის და 4 თვის და ისევ ბრაზილია 26 წლის და 9 თვის.



უფრემის უოლკოტი და უზუცესი ბუმნიევილი



მაგრამ სტატისტიკოსები არ შეყოვნდნენ იმაზე თუ ვინ ვერ გახდება ჩემპიონი, მათ სცადეს გამოეთვალათ ის თუ ვინ გაიმარჯვებს მუნდიალზე და საამისოდ, ჩამოთვლილ ჩემპიონთაგან საშუალო

ასაკი გამოიყვანეს. გამოვიდა 26 წელი და 11 თვე, ზუსტად ის ასაკი, დღევანდელი გერმანიის ნაკრები რომ არის. დავაზუსტოთ, ამ ჩემპიონატზე 26 წლისა და 11 თვის გერმანიის ნაკრების მეტი არავინაა.

გამოთვლილია ისიც, რომ დამარცხებული ფინალისტები დაახლოებით ჩემპიონების ასაკისანი არიან. ახლანდელ ჩემპიონატში ყველაზე ახალგაზრდაა ვანა, 25 წლისა და 2 თვის, ხოლო ყველაზე ხან-

დაზმული ტრინიდადისა და ტობაგო გახლავთ — 29 წელიწადი და 5 თვე. ერთი სიტყვით, ყველაზე ახალგაზრდაცა და ყველაზე ხანდაზმულიც დებიუტანტები გამოდიან.

მოთამაშეთაგან ყველაზე ყმაწვილი ინგლისელი თუ უოლკოტი იქნება — შაბათს ანუ ჩემპიონატის გახსნის მერე დღეს, 17 წლისა და 85 დღისა თუ ათამაშებენ კიდევ და გოლსაც გაიტანს, გახდება ყველაზე ახალგაზრდა, ვინც მუნდიალზე გოლი შეაგლო.

ყველაზე ასაკოვანი მოთამაშეა ტუნისელი ალი ბუმნიევილი, 1966-იანი. ყველა დროის ბებერთა სიაში ის როჟე მილას, პატ-ჯენინგსის, პიტერ შილტონის და დინო მოვის შემდეგ მეხუთეა.

საერთოდ, გერმანიაში ჩასულ ფეხბურთელთა ასაკი 27 წელი და 5 თვეა ანუ ეს მუნდიალი წინაზე ერთი თვითაა უმცროსი.

ყველაზე ასაკოვანს მინუს ყველაზე ახალგაზრდა იაპონიის ნაკრებში მხოლოდ 8 წელიწადს და 2 თვეს უდრის. იგივე სხვაობა ინგლისში 18 წელიწადი და 7 თვეა.

ბაბუნა კაღია



ჯენარო გატუზო

ტოტიანი პარდიანტი

თანადო ფორმაში. სათუთა ალესანდრო ნესტას თამაშიც. ხოლო ჯანლუკა მამბროტა ნამდვილად არ იქნება.

სავარაუდოდ, ლიბი განვლებთან 4-4-2-ით დაიწყებს. კარში ბუფონი იდგება. დაცვის ცენტრს მარკო მატერაცი (თუ ნესტა ვერ მოშუშდა) და ფაბიო კანავარო გააკონტროლებენ. მარცხენა ფლანგს ფაბიო გროსო, მარჯვენას კი — მასიმო ოდო. ნახევარდაცვაში მარჯვენე მაურო კამორანეზი დადგება, შუაში კი — ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო და დანიელე დე როსი იქნებიან, რომლებიც მონაცვლეობით, სიტუაციისა და მიხედვით მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლებენ. თავდასხმაში კი ალბერტო ჯილარდინო ლუკა ტონის წყვილი დაიწყებს.

მეორე სისტემა 4-3-1-2, რომელიც ლიბიმ ვარჯიშზე გამოსცადა უფრო შემტევიან. მეკარე და დაცვის ხაზი იგივე რჩება. ნახევარდაცვაში პირლო, კამორანეზი და სიმონე პეროტა. მათ წინ და ჯოლარდინო-ტონის უკან კი ტოტი. თუმცა უპირატესობა, ალბათ, პირველ ვარიანტს მიენიჭება.

ოღონდ ძირითად შემადგენლობაში დე როსის ან გატუზოს ნაცვლად მარცხენა შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე, ალბათ, ალესანდრო დელ პიერო ითამაშებს, ხოლო საჭიროების მიხედვით შეცვლაზე შევლენ ტოტი და ფილიპო ინძაგი.

ექიმები ტოტის შესახებ დამამედებელ განცხადებებს აკეთებენ. ისინი ვერაფრის გარანტიას ვერ იძლევიან, მაგრამ ირწმუნებიან, რომ პროგრესი სახეზეა და ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის.

„სკუადრა ატურას“ მთავარი ექიმი ენრიკო კასტელაცი: „ფრანჩესკო ყოველდღიურად უმატებს და ეს აშკარაა. მუნდიალამდე კიდევ ორი დღეა დარჩენილი და უფრო ზუსტად მისი მდგომარეობის შესახებ მას მეტი ვისაუბრებთ, როცა გერმანიაში წაივარჯიშებს“.

„ბოლო, რითაც ხალხმა მსოფლიოს ჩემპიონატზე დამიმასხვორა, კორეასთან მატჩში გაძევება იყო. ეს მსაჯის შეცდომა და უსამართლო გადაწყვეტილება გახლდათ, მაგრამ ვერაფერს გავაწყობდი. მინდა, სხვანაირად დამიმასხვორონ, როგორც მუნდიალზე ჩინებულად მოთამაშე ფეხბურთელი და იტალიის ლიდერი. ყველანაირად ვეცდები, ასეც მოხდეს, მაგრამ ორმა-



ლიბი და ტოტი

გად ძნელია სათანადო ფორმაში ჩადგე, როცა ყველა შენ გიყურებს და ნებისმიერ ნაბიჯს გიკონტროლებს“ — თქვა თავად ტოტიმ.

გატუზო კი გუმინ დაშავდა და განასთან მისი თამაში საეჭვოა.

გიორგი კაბახაძე

ბეჭემს პელებს არ გაუგონია




ინგლისის ნაკრების კაპიტანმა დევიდ ბექამ გერმანულ „ველტთან“ ინტერვიუში თავისი სიტყვები, ყველა დროის ნაკრები დაასახელა საინტერესოა, რომ მასში საკუთარი თავი და რამდენიმე

თანაგუნდელი თუ თანამემამულე შეიყვანა, ხოლო ფეხბურთის მეფედ აღიარებული პელებს — არა.

ბექამ საუკეთესო თერთმეტეულის კარში ყოფილი თანაკლუბელი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ და დანიის ნაკრების ლეგენდარული მეკარე პიტერ შმიხელი დააყენა. დაცვაში თავისი თანამემამულეები — ვარი ნევილი და ბობი მური, გერმანელი ფრანც ბეკენბაუერი და ბრაზილიელი რობერტო კარლოსი მოხვდნენ.

ნახევარდაცვაში ინგლისელთა კაპიტანმა საკუთარი თავის გვერდით ფრანგი ზინედინ ზიდანი, გერმანელი ლოთარ მათეუსი და ჩრდილოირლანდიელი ჯორჯ ბესტი გააძვესა, ხოლო თავდასხმაში ბრაზილიელი რონალდო და არგენტინელი დიეგო არმანდო მარადონა დაასახელა.

კოკი კანდელაკი



პოლანდიის ნაკრების პლეიმიეკერი რაფაელ ვან დერ ვაარტი მარცხენა ფეხს აღარ იტყვივებს, მაგრამ ორი თვეა ფეხბურთი არ უთამაშია და იქნება თუ არა 11 ივნისს სერბეთის წინააღმდეგ მატჩში, უც-

ეჭიბის ელის

ნობია. თუმცა „ჰამბურგის“ ნახევარმცველი ოპტიმისტურად არის განწყობილი.

„ტრავმა ბოლომდე მოვიშუშე, მაგრამ სათანადო ფორმაში ვერ არ ვარ. ბურთთან ერთად ვარჯიშისას თავს კარგად ვგრძობდი და მინდა, ჩვენს პირველსავე მატჩში ვითამაშო. ახლა ექიმების დასკვნას ველოდები. იმედია, პასუხს მივიღებ“ — თქვა ვან დერ ვაარტმა.

შეგახსენებთ, რომ პოლანდია სერბეთის მერე, 16 ივნისს, კოტ დიუუარს ეთამაშება, ხოლო 21 ივნისს არგენტინას. „ნარიჯისიფეროთა“ თავკაც მარკო ვან ბასტენს ეიმედება, რომ პირველ მატჩში თუ არა, დარჩენილ ორ შეხვედრაში ვან დერ ვაარტი ითამაშებს.

კოკი კანდელაკი



მილანს აუნონავი ხულიგანი უნდა



იტალიური მედიის ცნობით, „მილანმა“ ანდრეი შევჩენკოს შემცვლელად ანტონიო კასანო დაიკავა. „ბარისა“ და „რომას“ ყოფილ ვარსკვლავს, რომელიც ივლისში 24 წლის გახდება, ცუდი სეზონი

ჰქონდა. „გლადიატორთა“ ხელმძღვანელობასთან უთანხმოების შემდეგ მან 6 არცთუ წარმატებული თვე გაატარა მადრიდის „რეალში“. „ხულიგანმა“ საგრძნობლად მოიმატა წონაშიც. თუმცა „როსონერის“ შეფობას ეს არ აშინებს და ალბერტო ჯილარდინოსთან მის შეწყველებას აპირებს.

უკრაინელ ფორვარდში „მილანმა“ 30 მილიონი გირვანქა მიიღო და პრესამ მცირე მისი სავარაუდო შემცვლელის დიდი სია გამოაქვეყნა. თუმცა მაშინ აქცენტი სხვა ფეხბურთელებზე იყო და არა კასანოზე. ახლა კი „სან სიროზე“ გადასვლის მთავარ კანდიდატად, „ხულიგანი“ ითვლება, რომელიც „როსონერის“ 30 მილიონზე გაცილებით ნაკლები დაუჯდება.

კასანოს შემენაში „მილანს“, შესაძლოა, ხელი რამონ კალდერონმა შეუშალოს, რომელიც მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტობის კანდიდატია. თუ არჩევნები მან მოიგო, „სანტიავო ბერნაბეუზე“ ფაბიო კაპელოს ჩაყვანის პირობას დებს. „ხულიგანს“ კი მრავალჯერ უთქამს, ისევე „დონ ფაბიოსთან“ ერთად მუშაობა მინდა და იმედი, ეს ოდესმე კიდევ მოხდება. თანაც კალდერონისა და „მილანის“ ურთიერთობა უკვე დაძაბულია, რადგან მან ისიც თქვა, ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში კაკას ვიყიდო. „შავ-წითლებმა“ კი მცირე უპასუხეს, ბრაზილიელი ხელშეუხებელია, ჩვენთან კონტრაქტი აქვს და თუ შეაწუხებთ, მცირე ფიფას ვაცნობებთო.

აკოპი განდელაძე

კუიტი ბარსას გაბრი ტიტის მოსაკრეფად გაუზღეს



გაბრი ტიტის, კუიტი მოდის



ბარსელონელმა გაბრიმ ამსტერდამის „აიაქსთან“ გააფორმა ხელშეკრულება — „კამ ნოუს“ ნახევარმცველი ამერიიდან სამი სეზონით ჰოლანდიურ გრანდში გადაბარდება. 27 წლის გაბრის შეძენა „მანჩესტერ სიტის“ და მადრიდის „ატლეტიკოსაც“ სურდათ, თუმცა რახან „აიაქსს“ მომავალი სეზონიდან ჰენკ ტენ კატე, „ბარსას“ მწვრთნელ რაიკარდის ექსთანაშემწე და კატალო-

ნიელი ფეხბურთელის კარგი მეგობარი უთავაყუცებს, გაბრიმ „ამსტერდამ არენაზე“ გადასვლა არჩია. „აიაქსი“ უპირველეს ყოვლისა ჰენკ ტენ კატეს გამო ავირჩიე. მასთან ერთად ბარსელონაში სამი წელი ვმუშაობდი და ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. გარდა ამისა, ჰოლანდიურმა კლუბმა თავისი დიდი ისტორიით მომხიბლა“ — განუცხადა გაბრიმ ჟურნალისტებს.

ამგვარად, კატალონიიდან ერთი კაცი ჰოლანდიაში გაგზავნეს. თუმცა „ბარსას“ თავაკაცობა აქეთ ელოდება ტიტისქვეყნელი მოიერიშის ჩამობრძანებას — მოგესვენებათ, ჰენრიკ ლარსონი მომავალ სეზონში შევლეთში ითამაშებს და ლაპორტას ბანაკს „ფეიენოორდის“ დირექტორისთვის დაუდგამს თვალი. ფეხბურთელის აგენტმა რომ იანსენმა კატალონიურ „სპორტთან“ საუბარში აღნიშნა, კუიტი ჰოლანდიის ჩემპიონატში თამაშს აღარ აპირებს და რომელიმე ესპანურ გრანდში გადასვლაზე ოცნებობსო. მედიის ცნობით, ამჟამად კუიტთან და იანსენთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. დირექტორი 22 ივლისს 26 წლისა გახდება, ნაკრების წევრი გახლავთ და სამი სეზონია რაც „ფეიენოორდში“ ბურთაობს. ამ ხნის განმავლობაში ჰოლანდიურ ლიგაში 101 მატჩი ჩატარა და 71 გოლი გაიტანა. მსოფლიოს ჩემპიონატს მოუთმენლად ველი, „ბარსაში“ ჩემი გადასვლა მუნდიალზე წარმატებით გამოსვლაზეა დამოკიდებული — უთქვამს კუიტს.

ლალო ხომბიკი

საუთგაიტი სკამზე და მოედანზე


ინგლისური „მიდლსბროს“ მთავარი მწვრთნელი მომავალი სეზონიდან გარეთ საუთგაიტი გახდება. გუნდის კაპიტანი, ალბათ, ფეხბურთის თამაშსაც გააგრძელებს. 35 წლის მცველი ამ პოსტზე სტივ მაკლარენს შეცვლის, რომელიც მუნდიალის მერე ინგლისის ნაკრებს ჩაიბარებს.

თნელობა მხოლოდ 12 კვირის მანძილზე შეუძლია, თუმცა „მიდლსბროს“ ხელმძღვანელობას ეიმედება, რომ უეფა გამონაკლისს დაუშვებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საუთგაიტს ლიცენზიის აღება მოუწევს.

ამგვარი გამონაკლისი უეფამ ცოტა ხნის წინ უკვე დაუშვა, როდესაც „ნიუკასლის“ მწვრთნელად დროებით დანიშნულ გლენ რიოდერს მუშაობის გაგრძელების საშუალება მისცა და „კაჭკაჭებს“

მომავალ სეზონშიც იგი გაწვრთნის. შეგახსენებთ, რომ ინგლისურ ფეხბურთში ბოლო დროს ახალგაზრდა და გამოუცდელი მწვრთნელები მომრავლდნენ. მაგალითად, ახლა უკვე კარგად ცნობილი „ფულემის“ თავაკაცი კრის კოულმენი 32 წლის იყო, როდესაც 2003 წელს გუნდი ანდეს. ხოლო გასულ თებერვალს, „უოტფორდის“ მთავარი მწვრთნელი 35 წლის ადრიან ბოტროიდი გახდა...

აკოპი განდელაძე



ეროვნული გიგლიორთა

ლორენსოს შანსი: პისენტე დელ ბოსკე

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ლორენცო სანსმა მედიასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ თუ იგი კლუბის პრეზიდენტად ხელახლა აირჩიეს, სამეფო გუნდის მწვრთნელად ვისენტე დელ ბოსკეს მიიყვანს. „უკანასკნელ წლებში არავის უშუშავია გუნდში ისეთი წარმატებით, როგორც ეს დელ ბოსკემ გააკეთა. „რეალის“ ძველ მწვრთნელს უკვე ვესაუბრე და მან გუნდში დაბრუნებაზე თანხმობა განმიცხადა“ — აღნიშნა სენიორ სანსმა.

სურს. დანარჩენ კანდიდატებზე ვერაფერს ვეტყვი, მე კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, დელ ბოსკესთან საქმიანი შეთანხმება მაკავშირებს“ — დაბეჯითებით თქვა მადრიდელთა ექსპრეზიდენტმა. ესპანურმა გაზეთებმა უკვე დაიწყეს მსჯელობა — ვისენტე დელ ბოსკეს „რეალის“ დამრიგებლობა გარანტირებული აქვს, პრეზიდენტობაზე კანდიდატების უმრავლესობას თავის გუნდში სწორედ ეს კაცი სურსო.

დელ ბოსკე თავიანთ საარჩევნო პროგრამაში სხვა კანდიდატებმა, არტურო ბალდასანომ და ხუან პალასიოსმა ჩართეს, თუმცა, სანს ეს ნაკლებად აწუხებს. „ვისენტე დიდი მწვრთნელია და ყველას მადრიდში მისი ხელახლა მოყვანა

ლორენცო სანსი მადრიდულ გრანდს 1995-დან 2000 წლამდე მართავდა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში „რეალმა“ პრიმერადივიზიონის ჩემპიონობა, ესპანეთის სუპერთასი, ჩემპიონთა და საკონინენტთაშორისო თასი მოიგო.

ლალო ხომბიკი

მარადონა ნეაპოლის პოლიციამ გაპარსვა



დიეგო მარადონა ნეაპოლში იყო რათა მსახიობებისა და „ნაპოლის“ ყოფილი ფეხბურთელების საქველმოქმედო შეხვედრაში ეთამაშა, მაგრამ გეგმა უამინდობის გამო ჩაიშალა. წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის საგანგებოდ აღჭურვილი სასწრაფოს ყიდვა არ გამოვიდა, თავად მარადონას კი ნეაპოლელი სამართალდამცველები მიესივნენ, განყოფილებაში გააქანეს და „როლექსის“ ორი საათი აართვეს. ეს საათები ჯამში 10 ათასი ევრო ღირდა — 12800 დოლარი. მეტიც, გამოძიებლებმა დიეგოს უთხრეს, რომ მას იტალიის საგადასახადოში ძველი ვალი, 31 მილიონი ევრო აქვს გადასახდელი. ეს, „ნაპოლიში“ მისი თამაშის დროინდელი ვალი ყოფილა.

აკოპი განდელაძე

რომელ ჯგუფში გავა ყველაზე მეტი გოლი

9 ივნისი

Table with 5 columns: Time (18:00), Group (9201), Team Name (ყველაზე მეტი გოლი), Group Letter (A-G), and Price (7.00-12.00).

რომელი კომბინაზი მოიპოვებს მსოფლიო თასს

9 ივნისი

ერთეული

Table with 5 columns: Time (18:00), Group (9301), Team Name (გამარჯვებული), Price (1.30-30.00), and Quantity (1-5).

ვინ გახდება მჩ 2006-ის გამგარდირი

9501. 9 ივნისი. 18.00

Table listing various items and their prices, including 'კლასი', 'მაკაი', 'დროება', etc., with prices ranging from 10.00 to 65.00.

მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

Table listing items for the World Cup 2006, including '9012 იაპონია', '9012 ბრახილია', etc., with prices from 3.20 to 130.00.

მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფი I ადგილი

Table listing items for World Cup 2006 Group I, including 'ჯგუფი A 9101', 'ჯგუფი B 9102', etc., with prices from 1.35 to 8.50.

ვინ გახდება ერთმანეთს ფინალში. 9 ივნისი

Large table listing various items and their prices, including '9401 ჩეხ-ხორვ', '9401 შვედ-უკრ', etc., with prices from 40.00 to 900.00.

მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფიდან გასვლა

Table listing items for World Cup 2006 Group Exit, including 'ჯგუფი A 9601', 'ჯგუფი B 9602', etc., with prices from 1.10 to 8.00.

აღმოსავლეთი

მაიაჰი ჰიტი

ფინალამდე დაამარცხა: ჩიკაგო (4:2), ნიუ ჯერსი (4:1), დეტროიტი (4:2) მწვერტქედი: პატ რაილი

The Finals MIAMI HEAT MAVERICKS

8 და 11 ივნისს დალასში, 13 და 15 ივნისს მაიაჰიში თუ საჭირო გახდა - 17 ივნისს მაიაჰიში, 19 და 21 ივნისს დალასში

Table with 6 columns: Team, GP, FG, FT, REB, AST. Includes Eastern Conference statistics.

Table with 6 columns: Player, GP, FG, FT, REB, AST. Includes Western Conference statistics.


დასავლეთი

დალას მავრიკსი

ფინალამდე დაამარცხა: მემფისი (4:0), სან ანტონიო (4:3), ფინიქსი (4:2) მწვერტქედი: აივერი ჯონსონი



AFP



AFP

ასღლები

ხვალ გამთენიისას ნბა-ს პლეი ოფის დიდი ფინალი იწყება...

ნბა, 4:2 დაამარცხა აღმოსავლეთის ბოლო სამი წლის საუკეთესო გუნდი...

ბოლო II სეზონში კი მხოლოდ ერთი ახალი ჩემპიონია — „სან ანტონიო“...

რა და „ჰიტი“ ამ პლეი ოფში 12 მოგებით და 5 წაგებით მოიყვანა ფინალამდე...

ხასელეს, პლეი ოფში კი ჭკუაში აჯობა 3 ყოფილ წლის საუკეთესო მწვრთნელს...

„დალასის“ სული და გულია ლირკ ნოვიცკი, რომელმაც პირდაპირ სასწაულები აკეთა...

კობა ყოფია

როცა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა, ბესიკ ლიპარტელიანმა და მისმა გუნდმა...

ისნავლე საქმის მქებნალო ქართვალ მწვრტქედი სლოვენიელი დამოქვრავს

დრვარიხს ტიტულები არ აკლია, უმადლესი დონის სპეციალისტი და ამ დღეებში ის ქართველი მწვრტქელების დონის ასამაღლებლად იღწვის...

ეს სემინარი ხორციელდება ფიბას პროგრამით — „ოლიმპიური სოლიდარობა“...



მერაბ რატვიშვილი

ძალიან კმაყოფილი ვარ. იმ ახალგაზრდებს, რომლებთანაც სხვადასხვა საკალათბურთო კომბინაციების გათამაშება მიწვევს...



მურამ დოლოენავაშვილის ფოტო

მურამ დოლოენავაშვილის ფოტო

როლან გაროსი 2006. პარიზი. თიხნარი. სპორტი 8 137 652 \$

თხზულება

რაც განთქმავს, ის პარიზს

7 ივნისი

კაცები

პრობლემა

რაფალ ნადალი (2, ესპანელი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბელი) 6:4 6:4 (უარი); ნიკოლა პეტრეანო (4, ხორვატი) — ტოლიენ ბენეტო (საფრანგელი) 6:2 6:3

ასეთი უმფოთველი „როლან გაროსი“ ავერ უკვე 21 წელია, რაც არ ყოფილა. ტურნირმა, რომელზეც ერთი-ორი ფავორიტი ჯერ კიდევ საწყის წრეებში ვარდება ხოლმე, ხმაურიანი სენსაციების გარეშე ჩაიარა.

უმფოთველი კი იმიტომ ვუწოდებთ, რომ ნახევარფინალში პირველი ოთხი განთქმული მოთამაშე დაეტაკება ერთმანეთს. სამშაბათს ეს უფლება როჯერ ფედერერმა (№3) და დავიდ ნალბანდიანმა (№3), გუშინ კი რაფაელ ნადალმა (№2) და ივან ლიუბიჩიჩმა (№4) გაინადღეს. ბოლოს ასეთი რამ 1985 წელს მოხდა.

მეოთხედფინალში ამკარად საჭირო შესვენება მიიღო ნადალმა — მისი მეტოქე ნოვაკ ჯოკოვიჩი ისე გადაიღალა პარიზის კორტებზე ამ კვირა ნახევრის განმავლობაში, რომ ძლივს დალაშქრდა.



ივან ლიუბიჩიჩი

AFP პარიზიდან

ბდა, მატჩის დროს ტრავმაც მიიღო და თამაშის დასრულება ვეღარ შეძლო. ამ დროისთვის ჯაბურკი უკვე ორი სეტი მოეგო და არც თუ შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, ამ უპირატესობის ხელიდან გამშვები ნამდვილად არ იყო.

„გრუნტის მეფედ“ წოდებული ნადალისთვის ეს მოულოდნელი დასვენება შეიძლება, ციდან მოვლენილ მანანად იქცეს — წინა ორ შეხვედრაში ხომ პირენელმა მილიანობაში 8 საათი და 10 წუთი გაატარა კორტზე. ახლა კი სულის მოთქმის საშუალება ექნება.

„არ მიყვარს ასეთი გამარჯვებები, თუმცა ნახევარფინალში გასვლა მაინც ძალიან მიხარია... ვფიქრობ, ეს დასვენება არ მაწყენს... კარგადაც ვარ მომზადებული და არც

ნილ მანანად იქცეს — წინა ორ შეხვედრაში ხომ პირენელმა მილიანობაში 8 საათი და 10 წუთი გაატარა კორტზე. ახლა კი სულის მოთქმის საშუალება ექნება.

სალომე მარიას პიქტორია ნაარტია

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰილტონ ჰიდის ჰარდის კორტებზე სტარტი აიღო ქალთა საერთაშორისო ტურნირმა, რომელიც ITF-ის (ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია) ეგიდით ტარდება და რომლის საპრიზო ფონდიც 10 000 დოლარია. ტურნირზე მე-7 ნომრად განთქმული ქართველი სალომე დევძე და სანტერესო ის განსაკუთრებით გასაკვირვებელია შორის დევძის გარდა მხოლოდ მასპინძლები, ამერიკელი ქალები არიან. სალომე WTA-ს რეიტინგში ამჟამად 588-ე საფეხზეა.

ხურბუა და ჰილტონ-ჰიდში წარმატებული თამაშის შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზარდოს პოზიციას. ამის იმედი ნამდვილად არის, მით უმეტეს, რომ პირველ წრეში ქართველმა 6:2 1:6 6:3 დაამარცხდა არგენტინელი მარია-ვიქტორია ლომინა.

მეორე წრეში დევძე კლასიფიკაციაში 673-ე ადგილზე მყოფ ახალ ზელანდიელ შონა ლის ხვდება, რომელმაც საწყის ეტაპზე ასევე სამ სეტში — 6:1 5:7 6:1 მოუგო ამერიკელ კარტნი კლეიტონს.



სალომე მარიას

ფილიპი მარტინი



ფილიპი მარტინი

დაბრუნდა და გაიქცა

23 წლის ნიჭიერი ბელგიელი მრბოლმა ფილიპი მარტინმა სეზონის სტარტზე პრესტიჟული კლასიკური რბოლა Het Volk Classic მოიგო, მაგრამ მერე ტრავმა მიიღო და კრიტიკულ დოზინი ლიბერსთვისდა მოახერხა მწყობრში ჩადგომა.

დაბრუნება შთამბეჭდავი გამოვიდა. მარტინმა, რომელიც ფრანგული გუნდის „ფრანსაისიზ ლე პუს“ წევრია, ბრწყინვალე სტილში მოიგო 58-ე „დოფინი ლიბერეს“ მეორე, 203-კილომეტრიანი ეტაპი, ბურჟონი ენლიურან სენტ ჟელმბედე რომ იყო გაჭიმული.

მარტინი პელეტონის მოწინავე ჯგუფს ფინალში 35 კილომეტრით ადრე მოწყდა და ისე გაიქცა, მდევრებმა თვალის ველს ვეღარ დაიჭირეს. იმედი იყო — მეორე ადგილზე გასული ფრანგი საბუნდოლონი ბელგიელს 5 წუთითა და 19 წამით ჩამორჩა, ხოლო კიდევ ოთხი წამის შემდეგ ფინიში ხაზი ავსტრიელმა პეტერ ვროლსმაც გადაკვეთა.

ბუნებრივია, მარტინი საერთო ჩათვლაშიც გალიდურდა. ის 5 წუთსა და 22 წამს უკვე ლიდერს, პირველი ეტაპის მომგებ გერმანელ ფაბიან ვეგმანს.

ფორმულა-1, მერი ფეხბურთი


ფორმულა-1-ის უკვე ინგლისში არიან და დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზისთვის საბრძოლველად ემზადებიან.

მარშანდლისგან განსხვავებით, სილვერსტონის ლეგენდარულ ავტოდრომზე რბოლა ამჯერად ერთი თვით ადრე ჩატარდება, რაც მონაწილეებს ძალიანაც არ ეხატებათ გულზე, რადგან ამ დროს დიდია წვიმის ალბათობა.

ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრის შემდეგ, როცა გაირკვა, რომ 10 ივნისის ინგლისის ნაკრებს პარაგვაისთან მატჩი ელის, რბოლის ორგანიზატორებმა ეტაპის ჩვეულ დროში, ინგლისში დაბრუნება ითხოვეს, მაგრამ ავტობოსებს, ცხადია, არაფერი შეუცვლიათ. ჰოდა, მყურებლები რომ არ დაეკარგათ, ავტოდრომზე სამი უზარმაზარი ტელეეკრანის დამონტაჟება გადაწყდა. ასე რომ, შაბათს მთელ დუნიაზე საუკეთესო მძღოლების საკვალიფიკაციო გაჯიბრებასთან ერთად, ტრეკზე მისულ ფეხბურთელების ქიმაგობის საშუალებაც ექნებათ.

ამის გამო საპოლუ ბრძოლა დაგეგმილზე ნახევარი საათით ადრეც კი დაიწყება. ერთი სიტყვით, ჯერ ფორმულა, მერე ფეხბურთი.

ფავორიტებად ჩემპიონატის ლიდერ



ფიფინილო ალონსო და მეორე ადგილზე მყოფი მიხაელ შუმხერი ითვლებიან. „უილიამ ჰილის“ საბუქ-მეიკრო კანტორამ ორივეს ამჯერადც გამარჯვების ერთნაირი შანსი მისცა კოეფიციენტით 2,5. მესამე კიმი რაიკონენა — 7,0, შემდეგ ჯანკარლო ფიზიკელა და ფელიპე მასა — 13,0, ხუან-პაბლო მონტოია — 15,0.

რბოლაში მიხაელს უსიამოვნო ამბავი — კოლეგებისგან საქმის გარჩევა ელის. ორი კვირის წინ, მონტე კარლოში კვალიფიკაციისას მომხდარი ინციდენტის გამო. შეგასვენებთ, ბოლო წამებზე შუმშიმ, აქაოდა „ფერარის“ წინა ბორბლები დამებლოკაო, მანქანა შუა გზაზე გააჩერა, რითაც უკან მავალი,

მერი ფეხბურთი

მთ შორის, ალონსოსაც, სწრაფი წრე გაუფუჭა და პოულ-პოზიციის დაკავების ვარიანტი დააკარგვინა. სტიუარტებმა ამის გამო შუმხერს ყველა საკვალიფიკაციო წრის შედეგი გაუუქმეს, რის გამოც შვიდგზის ჩემპიონს ბრძოლის ბოლო, 22-ე პოზიციიდან დაწყება მოუხდა.

თითქოს ამგვარი მკაცრი სასჯელი არ კმაროდა, მრბოლები არ წყნარდებიან, სილვერსტონში მეფორმულე მძღოლთა ასოციაციის სხდომაზე მომხდარის ხელახალ გარჩევას აპირებენ და ამ ასოციაციის პრეზიდენტ მიხაელ შუმხერს გადაყენებით ემუქრებიან.

გია ახალაძე

ახსანაგური მატჩები



სორპატი 1:2 ესპანეთი
 1:0 პაბლო (14ს.კ.), 1:1 პერნია (61), 1:2 ტორესი (90)
სორპატი: პლეტიკოვა, შიმიჩი (ტოკიჩი 86), რ. კოვაჩი (მოდრიჩი 46), ტუდორი, შიმუნჩი, ბაბიჩი, ნ. კოვაჩი (ვრანიევი 67), კრანჩარი (ი. ლეკო 69), ჟ. ლეკო, პრსო (ბოშნიაკი 76), კლასნიჩი

მწვრთნელი: ზლატიკო კრანჩარი
ესპანეთი: რეინა (კანისარესი 46), სალგადო (სერხიო რამოსი 46), პუოლი, პაბლო, პერნია, ხოაკინი (ფაბრეგასი 73), ხავი, ხაბი ალონსო, რეისი (ლუის გარსია 46), რაული (ფლორენსი 46), ვილია (ინიესტა 63)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი
საფრანგეთი 3:1 ჩინეთი
 1:0 ტრეზუგე (30), 1:1 ფენგი (69პ), 2:1 ვანგი (89ს.კ.), 3:1 ანრი (90)

საფრანგეთი: ბარტეზი, სანოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი, მალუდა, ვიერა (რიბერი 75), მაკელლუე, ზიდანი, ანრი, ჯ. სისე (ტრეზუგე 12; ვილტორდი 83)

მწვრთნელი: რაიმონ დომენევი
ლიხტენშტაინი 1:3 ავსტრალია
 1:0 ნილი (8ს.კ.), 1:1 სტერიოვსკი (20), 1:2 კენედი (75), 1:3 ალოიზი (83)

ავსტრალია: კალაჩი, ნილი, მური (ბუნამპი 78), პოპოვიჩი, ჩეპილი (მილიგანი 85), ემერტონი, ლაზარიდისი (ტომპსონი 67), სკოკო, სტერიოვსკი, ალოიზი, კიუელი (კენედი 49)

მწვრთნელი: გუს შიდინგი
საუდის არაბეთი — ბოსნია
გადაიდო
ტუნისი — ირაყი
გადაიდო



წუხელ ჯიბრილ სისე დაშავდა და... საფრანგეთის ნაყრების ექიმებმა სახლში დატოვეს — მისთვის ჯერ არდაწყებული მუნდიალი უკვე დაშთავრდა



კარლეს პუიოლის ესპანეთმა ივან კლასნიჩის ხორვატია ბოლოსდა გატეხა



აესტრალიელმა ლუკას ნილმა (№2) თავიც „გამოიჩინა“ — ბურთი საკუთარ კარში გაიტანა

უფადეთი
 სუპერმარკეტა
 გალადეგაშული
 მატჩი
 მიმდინარეობს 2:1 ლანდსპორტსა

იტალია
 სერია B/C
 კლუბი იუვი
 საპასუხი მატჩი
 ალბინოლევი 2:3 ავილინო (2:0)

პროფლიგა საუკეთესოებს კვირას იტყვის

პროფესიული ფეხბურთის ლიგამ შარშან პირველად ჩაატარა გამოკითხვა, რომელსაც წლის საუკეთესოები უნდა გამოეყვლინა. წლეულს ამგვარი ღონისძიება — „დია 2006“ 11 ივნისს ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება. გამარჯვებულები 11 ნომინაციაში გამოვლინდებიან. პოზიციების მიხედვით საუკეთესო ფეხბურთელთა გარდა, დასახელება წლის არბიტრი, მწვრთნელი, საფეხბურთო პროექტი და კურიოზიც კი...

რად თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო ორი ნომინაცია — საქართველოს მე-17 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი. უკვე მეთოთხმეტე წელია, ამ ორი ნომინაციაში საუკეთესოებს ჟურნალისტთა ვერსიით „სარბიელი“ ავლენს. ამის გათვალისწინებით, პროფესიული ფეხბურთის ლიგამ კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო და ხსენებულ ორი ნომინაციაში საუკეთესო ფეხბურთელი სპეც-

იალისტთა ვერსიით დასახელდება. „დია 2006“ საკმაოდ მასშტაბური პროექტია და მისი რეჟისურა ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ დავით საყვარელიძეს. სთხოვეს. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დავით საყვარელიძემ ღონისძიების მოკლე მონახაზი, უფრო სწორად იმ პირთა წრე გაგვაცნო, სადამოში რომ მიიღებენ მონაწილეობას. „ერისიონი“, „ქართული ხმები“, მერაბ სეფაშვილი, დავით გო-

მართელი და ქართული ხელოვნების სხვა წარმომადგენლები 11 ივნისს ქართული ფეხბურთს საგანგებო ნომრებს მიუძღვნენ. ორგანიზატორებმა სადამოზე საქართველოს პრეზიდენტის მიმართულებით და არც პოლიტიკის თუ კულტურის სხვა წარმომადგენლები დარჩენიან უყურადღებოდ. „დია 2006“-ს დაესწრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმილიერიც, რომელიც თბილისში ფეხბურთის ფედერაციის პრეზი-

დენტ ნოდარ ახალკაცთან და გენერალურ მდივან უჩა უგულავასთან ერთად ჩამოვა. დაგეგმილია „დია 2006“-ის პირდაპირი ეთერით გადაცემა, მოწვეული სტუმრების გარდა კი რიგით გულშემატკივარსაც მიეცემა სადამოზე დასწრების საშუალება. ბილეთების გაყიდვა ოპერისა და ბალეტის თეატრის საღაროებში დღეიდან დაიწყება და მისი ფასი ხუთიდან ათ ლარამდე იქნება.

გიორგი ნოზაძე



ჰემალ ჭყუასელი, დავით გომართელი, პაატა ბურჯალიანი, დავით საყვარელიძე და მერაბ სეფაშვილი



სარბიელი
 საორბული გაზეთი
 გამომცემი 1990 წლის
 28 დეკემბერიდან
 გამომცემი ორგანიზაცია,
 სამგობათს, ოთხგობათს,
 ხუთგობათს,
 პარასკეპს და შაბათს

გამომცემელი უზარაბ უნივერსიტეტი
 დირექტორი გიორგი ოქროშაძე
 მთავარი რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
 პასუხისმგებელი რედაქტორი პაპა შალვაშვილი
 ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
 ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე,
 კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
 უცხოური ფეხბურთის რედაქცია: რედაქტორი პაპა ხუციშვილი
 უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი,
 ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯიანი, გიორგი ვაშაყიძე,
 გიორგი კაკაბაძე, ლალი ხომერიკი
 ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი პაპიაშვილი
 ინფორმაციის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, გიორგი ნოზაძე,
 ოთარ მკვირვალიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფრანკო
 ფოტორეპორტიორები: გურამ დოღვერაშვილი, ბადრი კვიციანი
 სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ვოხლიშვილი
 კომპიუტერული ცენტრი: დევიდა ბეგლაროვა, ლია ბესელია,
 ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დავლიშვილი, მაგდა ლოგაშვილი,
 რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ
 წერეთელი

სარბიელი საგაზეთო: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
 თბილისი, ალექსანდრე
 ყაზბეგის გამზირი 42, 11
 კორპუსი, 1V სართული.
საშრომლო მისამართი:
 თბილისი — 79, საშრომლო
 ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
 ელექტრონული ფოსტა
 sarbieli@gol.ge
 ელექტრონული ვებსაიტი
 http://www.sarbieli.com.ge